წესები და პირობები

ვებსაიტზე რეგისტრაციისას და MyCourse -ის სერვისების გამოყენებისას, თქვენ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ წესებს და პირობებს.

ტერმინთა განმარტება

MyCourse - ჩვენ, ჩვენი კომპანია, კომპანია MyCourse.

ვებსაიტი - ვებსაიტი https://www.MyCourse.ge

მომხმარებელი - კომპანია ან სტუდენტი, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც სარგებლობს ვებსაიტის მომსახურებით, ანთავსებს ან ეძებს კურსის შესახებ ინფორმაციას.

კომპანია - ფიზიკური ან იურიდიული პირი (ტრენინგ ცენტრი, სასწავლო დაწესებულება, უნივესრიტეტი, ორგანიზაცია) რომელიც რეგისტრურდება ვებსაიტზე, ქმნის საკუთარ გვერდს (პროფილს) www.MyCourse.ge-ზე და ანთავსებს ინფორმაციას მის მიერ ორგანიზებული/დაგეგმილი კურსების შესახებ.

სტუდენტი - მოსწავლე, მომხმარებელი, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც ეძებს ინფორმაციას www.MyCourse.ge-ზე სასურველი კურსის შესახებ.

კომპანიის გვერდი/პროფილი - გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია www.MyCourse.ge-ზე რეგისტრირებული კომპანიის შესახებ.

კურსი - ტრენინგი, ლექცია, კურსი რომლის შესახებ ინფორმაციასაც კომპანია განათავსებს ვებსაიტზე MyCourse-ის მიერ დაწესებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

ძირითადი პირობები

1. MyCourse არ არის არცერთი კურსის ორგანიზატორი, მომწოდებელი, თანამონაწილე, გამყიდველი ან მყიდველი. ვებსაიტი არის შუამავალი, რომელიც ეხმარება კომპანიას და სტუდენტს დაუკავშირდნენ ერთმანეთს.
2. MyCourse-ის მოხერხებული ინტერფეისი ხელს უწყობს კომპანიის მიერ კურსების განთავსებას შესაბამის განყოფილებაში/კატეგორიაში, რაც ეხმარება სტუდენტებს შესაბამისი კურსის მარტივად მოძებნაში.
3. MyCourse არ არის ვებსაიტზე განთავსებული არცერთი კურსის ორგანიზატორი ან შემქმნელი და არ ფლობს არანაირ დამატებით ინფორმაციას მათი რეალური მდგომარეობის შესახებ.
4. ვებსაიტზე განთავსებული კურსის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების ხარისხი, უსაფრთხოება, კანონიერება და აღწერასთან შესაბამისობა არ კონტროლდება MyCourse-ის მიერ.
5. ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება კომპანიისა და მის მიერ ორგანიზებული კურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დაინტერესებულ სტუდენტებში და კონტაქტის დამყარებას ვებსაიტის მომხმარებელებს შორის.
6. ნებისმიერი მომხმარებელი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) ვებსაიტზე ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.
7. ვებსაიტზე ინფორმაციის განთავსებისას, მომხმარებელი თანახმაა, რომ ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა.

8. მე-7 პუნქტიდან გამომდინარე, მომხმარებელი თავის თავზე იღებს ზემოთაღნიშნული ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ რისკს.
9. ვებსაიტზე განთავსებულ ინფორმაციას არ აქვს იურიდიული ძალა, ნებისმიერი მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერი გარიგების წინ, მათ შორის ნებისმიერი ფინანსური გარიგების წინ გადაამოწმოს და თავად დარწმუნდეს ინფორმაციის სისწორეში.

კურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება

1. მომხმარებელს უფლება არ აქვს ვებსაიტზე განათავსოს ინფორმაცია რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
2. ვებსაიტზე კურსის განთავსებისათვის აუცილებელია გაიაროთ რეგისტრაცია, დაეთანხმოთ წესებსა და პირობებს და შეავსოთ ინფორმაცია კომპანიის შესახებ.
3. კომპანია ვალდებულია ვებსაიტის ინსტრუქციების მიხედვით განათავსოს სრული ინფორმაცია კურსის შესახებ
4. კურსის განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს გამოქვეყნებული კურსის ჩატარების უფლება.
5. ნებისმიერი მომხმარებლისათვის (ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის) ვებსაიტზე კურსის განთავსების პირობები და ფასები და შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ვებსაიტის ფასების ნაწილში.
6. მომხმარებელს შეუძლია განათავსოს კურსები ვებსაიტის თემატიკის შესაბამისად MyCourse-ის წესებისა და პირობების გათვალისწინებითა და დაცვით.
7. ნებისმიერი მომხმარებლის მიერ ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია არ უნდა:
    - იყოს მცდარი, არაზუსტი და არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში მომხმარებელი.
    - ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს ან ნდობით ბოროტად სარგებლობას.
    - შეიცავდეს ცრუ ან ყალბ ინფორმაციას.
    - ეხებოდეს მესამე პირის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის პირად უფლებებს.
    - შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის ღირსებას ან ბიზნეს რეპუტაციას.
    - შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა დისკრიმინაციას.
    - შეიცავდეს მუქარას ვინმეს მიმართ.
    - მოუწოდებდეს კრიმანალური ქმედებისაკენ.
    - უწევდეს მხარდაჭერას, ან პროვოცირებდეს ტერორისტულ და ექსტრემისტულ ქმედებებს.
    - შეიცავდეს პორნოგრაფიულ შინაარსს.
    - შეიცავდეს სარეკლამო ინფორმაციას. აკრძალულია განცხადებაში სხვა ვებსაიტის მითითება გარდა კომპანიის ოფიციალური ვებსაიტისა/სოციალური ქსელებისა
    - შეიცავდეს მესამე წყაროდან ჩასმულ კოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება ჩვენებების მიხედვით თანხის გამომუშავება.
    - არღვევდეს რაიმე სხვა გზით საქართველოს მომქმედ კანონმდებლობას.
8. მომხმარებელს არ შეუძლია ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციიდან გამომდინარე დასკვნა გამოიტანოს გარიგების კანონიერების შესახებ.

MyCourse-ის უფლებები და მოვალეობები

1. MyCourse არ არის არცერთი კურსის ორგანიზატორი, არცერთი შეთანხმების თანამონაწილე და არ არის პასუხისმგებელი არცერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება თუ შეთანხმება დგება უშუალოდ მომხმარებლებს (კომპანიასა და სტუდენტს) შორის.
2. ჩვენი კომპანია არ აგებს პასუხს ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.
3. MyCourse ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ კურსის განმთავსებელი პირის ვებსაიტზე მოცემული მონაცემები დაემთხვევა მის რეალურ მონაცემებს.
4. MyCourse იტოვებს უფლებას დაბლოკოს/წაშალოს მომხმარებელი, წაშალოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, თუ იგი იქნება განთავსებული ამ წესებისა და პირობების დარღვევით.
5. MyCourses უფლება აქვს მიანიჭოს გამოქვეყნებულ კურსს მომხმარებლის მიერ მითითებული კატეგორიისგან განსხვავებული კატეგორია.
6. ჩვენს კომპანიას უფლება აქვს შეწყვიტოს ნებისმიერი კურსის/ინფორმაციის გამოქვეყნება ნებისმიერ დროს.
7. MyCourse არ აგებს პასუხს ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასევე, შეტყობინების დაკარგვაზე.
8. ჩვენი კომპანია არ იძლევა გარანტიას ვებსაიტის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე.
9. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში კომპანია MyCourse-ს უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის IP მისამართი.
10. MyCourse -ს შეუძლია შეცვალოს აღნიშნული წესები და პირობები ყოველგვარი სპეციალური შეტყობინების გარეშე (აღნიშნული ცვლილებები აისახება "წესები და პირობები" განყოფილებაში).

მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები

1. მომხმარებელს არ აქვს უფლება გადასცეს თავისი მომხმარებლის სახელი და პაროლი მესამე პირს.
2. პირადი მონაცემების გავრცელების შესახებ ნებისმიერი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია სასწრაფოდ შეცვალოს პაროლი.
3. მომხმარებელს ეკრძალება ვებსაიტზე ამ წესებისა და პირობების დარღვევით განცხადების განთავსება.
4. მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ჩვენს კომპანიას, იმ კურსების შესახებ, რომლებიც რაიმე სახით არღვევენ ვებსაიტის წესებს, ან ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში).
5. მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და MyCourse-ის წესების შესაბამისად და აგოს პასუხი ვებსაიტზე თავის ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. თუ მომხმარებელს უჩნდება რაიმე სახის პრეტენზია ან გაუგებრობა სხვა მომხმარებლის მიმართ, იგი წარადგენს თავის პრეტენზიას უშუალოდ მომხმარებელთან (რომლის მიმართაც აქვს პრეტენზია), MyCourse-სგან დამოუკიდებლად. იგი ათავისუფლებს ჩვენს კომპანიას (ასევე მის ნებისმიერ თანამშრომელს) ყოველგვარი მოთხოვნებისგან.
7. ზემოაღნიშნული პუნქტი ვრცელდება მათ შორის: ზარალის კომპენსაციისგან, ხარჯების ანაზღაურებისგან და ნებისმიერი დანახარჯის ანაზღაურებისგან დაკავშირებული ვებსაიტის მეშვეობით შემდგარ ნებისმიერ შეთანხმებასთან თუ გარიგებასთან.
8. ვებსაიტის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9. მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ, საიტი მას აძლევს საშუალებას მიაწოდოს ინფორმაცია სხვა მომხმარებლებს.

ვებსაიტზე რეგისტრაცია

1. მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს რეალური მონაცემები - მოქმედი ელ. ფოსტის მისამართი და პაროლი.
2. მომხმარებლის სახელი აუცილებლად უნდა იყოს მის მფლობელობაში არსებული აქტიური ელ. ფოსტის მისამართი. მომხმარებლის პაროლი უნდა შეიცავდეს სულ მცირე ერთ დიდ ლათინურ სიმბოლოს, მცირე სიმბოლოს და ციფრს. პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 სიმბოლოსგან.
3. აკრძალულია მომხმარებლის სახელში ნებისმიერი სახის შეურაცხმყოფელი ფრაზის მითითება.
4. რეგისტრაციის დროს აკრძალულია სხვა პირის მონაცემების მითითება.
5. ვებსაიტზე რეგისტრაციით, მომხმარებელი კომპანიას ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშავოს მომხმარებლის პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაცია მომსახურების გაწევის მიზნებისთვის საჭირო მოცულობით, მათ შორის უფლებას, მომხმარებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა, მესამე პირებს შემდგომი დამუშავების მიზნებისთვის, მომხმარებლის პერსონალური/კონფიდენციალური ინფორმაცია შეუზღუდავად და ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად).
6. კომპანიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, ასევე კურსის განთავსება მოხდება მხოლოდ ვერიფიკაციის პროცედურების გავლის შემდეგ. MyCourse უფლებას იტოვებს არ გამოაქვეყნოს ინფორმაცია კომპანიისა და კურსის შესახებ
7. MyCourse უფლებას იტოვებს შეინახოს მომხმარებლის მიერ მითითებული პერსონალური ინფორმაცია მონაცემების შენახვა-დამუშავების მიზნით.

ვებსაიტით სარგებლობის პირობა

1. MyCourse-ზე შესვლისას, მომხმარებელი ადასტურებს და ეთანხმება, რომ მისი კონტენტი, მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, წარმოადგენს ვებსაიტის საკუთრებას. ამ მასალის არასანქცირებული გამოყენება და/ან ნებისმიერი სახით დუბლირება, გადატანა მესამე მხარის საკუთრებაში არსებულ სივრცეში, წარმოადგენს ვებსაიტის კომერციული „დოვლათით“ სარგებლობას, რაც მკაცრად აკრძალულია კომპანია MyCourse-ს მხრიდან საჯარო თანხმობის და/ან წერილობითი ნებართვი სგარეშე.
2. ვებსაიტი www.mycourse.ge წარმოადგენს კომპანია MyCourse-ს კუთვნილებას. ჩვენს კომპანიას გააჩნია ვებსაიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომპანიას ასევე ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, აკრძალოს ჩვენს ვებსაიტზე განთავსებული მასალების ნებისმიერი ფორმით უნებართვო სარგებლობისა და გავრცელების ფაქტი;
3. MyCouese იტოვებს უფლებამოსილებას, ვებსაიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების/სარგებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ამ წესებისა და პირობების შესაბამისად;
4. საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა წარმოადგენს დასჯად ქმედებას და ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი)